I

ივლისი

რიგითი XIII კვირა [I] მწ

(18.VI) წმ. ღირსი მიქაელ ულუმბელი, მონაზონი, VIს

2020

ოთხშაბათი

ამ 5,14-15.21-24; ფს 49; მთ 8,28-34

ეძიეთ სიკეთე და არა ბოროტება, თუ გსურთ სიცოცხლე ამ 5,14

ბოროტება ტანჯვის წყაროა.
ღმერთს როდი სურდა ის, არამედ მტერს.
იესო შეხვდა მას ორი შეპყრობილი
ღადარენელის ტანჯვაში. გაათავისუფლა
ისინი, რაკი მიმართეს მას, თუმცა კი არც
თუ თავაზიანად. ვეცადოთ დავყვეთ,
მივბაძოთ ღმერთს, რათა „სიკეთეში“ ვიყოთ
მთელი არსებით. ნამდვილი „სიკეთე“
მხოლოდ ღმერთში შეგვიძლია ვპოვოთ.

2020 ხუთშაბათი

ამ 7,10-17; ფს 18; მთ 9,1-8

გამაგრდი, შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები მთ 9,2

იესო მიუტევებს დავრდომილს და ჰკურნავს ცოდვილს. ჩვენც, მაშინდელ თვითმხილველებთან ერთად ვადიდებთ ღმერთს, რომელმაც ესოდენი მაცხოვარი მოგვივლინა, რომელსაც ძალუძს მოგვიტევოს ტანჯვაში, და განგვკურნოს ცოდვაში. და როგორ არ შეგიყვარდეს ამის მოქმედი?!

3 ივლისი

წმ. თომა მოციქული, (დ), [ს], წ

2020 პარასკევი

ეფ 2,19-22; ფს 116; იო 20,24-29

შენ მირწმუნე იმიტომ, რომ მიხილე! იო 20,29

წმიდა თომა ის მოციქულია, იესოს რომ ჰკითხა: არ ვიცით სად მიდიხარ და გზა როგორღა გვეცოდინებაო. მაშინ იესომ უპასუხა გამოცხადებით: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“. ახლა, როდესაც თომას შეუძლია საკუთარი ხელით შეეხოს აღმდგარ იესოს, სწვდება ამ სიტყვების სიღრმესაც, რომელიცაა ნამდვილი ძღვენი ყველა ჩვენგანისათვის.

4

2020

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

რიგითი XIII კვირა [I] მწ

(21.VI) წმ. არჩილი, საქართველოს მეფე, +744;
წმ. ელისაბედ პორტუგალიელი, +1336

შაბათი

ამ 9,11-15; ფს 84; მთ 9,14-17

არავინ დააკერებს ძველ ტანისამოსს ახალი ქსოვილის საკერებელს მთ 9,16

ძველი სამოსელი ის ჩვეულებაა, რომ-
ლითაც ვემორჩილებით ღმერთს როგორც
მსახურნი ბატონს. ვაკეთებთ იმას, რაც
გვევალება, რის შემდეგაც თავი წესრიგში
გვონია ხოლმე. ახალი ქსოვილი კი იმ შვი-
ლების განწყობაა, რომლებიც ბაძავენ მა-
მას, იმ სიყვარულით, რომელიც ითავისებს
მის სურვილებს. ვინც ამგვარად მორჩი-
ლებს, ვერც კი ხვდება, რომ მორჩილებს,
ვინაიდან უყვარს. მორჩილების ამ ორ გზას
არაფერი აქვთ ერთმანეთში საერთო!

5 ივლისი

რიგითი XIV კვირადღე, «ა», [II], მწ

2020 პარასკევი

ზაქ 9,9-10; ფს 144; რომ 8,9.11-13; მთ 11,25-30

ჩემი უღელი ადვილია
და ჩემი ტვირთი — მსუბუქი მთ 11,30

იესოს უღელი! უღელი ხომ ერთი სახნისის გასაწევად შებმული ორი ხარის დამაკავშირებელი იარაღია. იესოს უღელი მასთან მაკავშირებს ღვთის სასუფევლის მსახურებაში! ამგვარი ცხოვრება, იესოსთან ერთობა მის მსახურებაში, სასიხარულო გარჯაა, რომელიც გვაძლევს სირბილისა და ხტომის უნარს! დღესვე სცადე!

6 ივლისი

2020

რიგითი XIV კვირა [II] მწ

წმ. მარია გორეტი, ქალწ. და მოწ., +1902

ორშაბათი

ოს 2,16-18.21-22; ფს 144; მთ 9,18-26

გამხნევდი, ასულო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა მთ 9,22

ეს სიტყვა მოისმინა ქალმა, რომელიც თორმეტი წლის განმავლობაში სისხლისდენით იტანჯებოდა და რომელიც შეეხო იესოს მოსასხამს, დარწმუნებული იმაში, რომ განიკურნებოდა. ეს სიტყვა უხდება მარია გორეტისაც, რომელიც თორმეტი წლისა იყო, როცა თავისი რწმენის წყალობით, არ დანებდა მოძალადის ბილწ სურვილებს. კი, მოკვდა, მაგრამ დაიხსნა თავიც და თავისი მკვლელიც.

7 ივლისი

რიგითი XIV კვირა [II] მწ

2020 სამშაბათი

ოს 8,4-7.11-13; ფს 113ბ; მთ 9,32-38

სამკალი ბევრია მთ 9,37

იესო დევნის ავ სულს, რომელიც ხელს
უშლის ადამიანს სხვებთან შევიდეს
თანაზიარებაში. ხალხი აღტაცებულია,
ხოლო ისინი, ვისაც ღმერთთან სიახლოვით
მოჰქონდათ თავი, ყირაზე აყენებენ
იესოს ნამოქმედარის მნიშვნელობას. ამის
გამო იესო ეუბნება თავისიანებს, რომ
მათ შრომას დიდი გარჯა სჭირდება.
ფარისევლები როდი დაეხმარებიან მათ,
არამედ ისინი, ვისაც მამა მოავლენს, თუკი
რწმენით შესთხოვენ მას.

8 ივლისი

2020 ოთხშაბათი

ოს 10,1-3.7-8.12; ფს 104; მთ 10,1-7

ორგულნი არიან, მაგრამ ახლა კი მსჯავრი დაედებათ ოს 10,2

ერის ორგულობა იზრდება
კეთილდღეობის ზრდასთან ერთად. იმის
ნაცვლად, რომ მადლობა შესწირონ
ღმერთს და უკეთ და მეტად გაუგონონ
მას და დაემსგავსნონ, მიღებულ ძღვენებს
აქცევენ ღვთაებებად, რომლებსაც
კულტი სჭირდებათ! ასე ამბობს ოსია
წინასწარმეტყველი და დასძენს, რომ
საჭირო იქნება კატასტროფა, რათა ერი
დაუბრუნდეს თავის მისიას.

ივლისი

რიგითი XIV კვირა [II] მწ

წმმ. ავგუსტინე ჟაო რონგი და მეგობ.,
ჩინელი წამებულნი +1648-1930

ხუთშაბათი

ოს 11,1-4.8-9; ფს 79; მთ 10,7-15

იქადაგეთ, რომ მოახლოებულია ცათა სასუფეველი მთ 10,7

ამის ქადაგება დაიწყო თავად იესომ. ქადაგება ნიშნავს, ძლიერად და გადაჭრით აუწყო სხვა მეფეთაგან განსხვავებული მეფის მოსვლის კეთილი ამბავი, ზეციდან მოსული მეფისა, იმ ღმერთისაგან, რომელსაც შვილებივით უყვარს ადამიანები! ესაა მეფე, რომელიც არც დაჩაგრავს და არც იბატონებს, არამედ ემსახურება, გამოადგება თითოეულსა და ყველას და წამოაყენებს მათ ცოდვისაგან წარმოშობილი ტანჯვიდან.

ივლისი

რიგითი XIV კვირა [II]

(27.VI) წმ. ღირსი გიორგი მთაწმინდელი, +1065, (მ), თ

პარასკევი

ოს 14,2-10; ფს 50; მთ 10,16-23

სწორია უფლის გზები ოს 14,10

წინასწარმეტყველი ეხმარება მათ, ვინც ღვთისაკენ მოექცევა საერთოდ. ურჩევს მათ გზას დაადგნენ უფლის შესახვედრად და დაამზადონ სათქმელი სიტყვები. იესომ გვითხრა რომ უძღებ შვილსაც დამზადებული ჰქონდა მამისათვის სათქმელი სიტყვები. დღეს კი, გვეუბნება აგრეთვე, რომ როდესაც დაგვიდგება მისთვის ტანჯვის დღე, თავად მამა გვათქმევინებს სიბრძნისა და დამოწმების სიტყვებს.

11

2020

ივლისი

წმ. ბენედიქტე, აბატი, +547
ევროპის მფარველი დ, [ს], თ

შაბათი

იგ 2,1-9; ფს 33; მთ 19,27-29

რაბათში ბენედიქტელ დედათა დღესასწაული

უფალი იძლევა სიბრძნეს, მისგანაა ცოდნა და გონიერება იგ 2,6

ამ ჭეშმარიტებას ვხვდებით წმიდა ბენედიქტეს ცხოვრებაში. იგი მიენდო ღმერთს, რათა ეცხოვრა იესოს მოძღვრებისამებრ და მიეძღვნა მისთვის მთელი თავისი არსებობა. მოხდა ისე, რომ მისი ცხოვრება ძვირფასი გახდა ევროპის ხალხთათვის, მისი მოძღვრების სიბრძნის წყალობით. კვლავაც გვჭირდება ეს სიბრძნე: შევთხოვოთ მას, გვიშოვოს ის ღმერთთან.

ეს 55,10-11; ფს 64; რომ 8,18-23; მთ 13,1-23

გამოვიდა მთესველი სათესად მთ 13,3

იესო ზის ნავში, მის მოსასმენად შეგროვილი ხალხით სავსე ნაპირთან ახლოს. მისი სიტყვები მოთხრობებივითაა. უბრალო, მარტივი ამბებია, თუმცა ძალისხმევას მოითხოვს, მოსაუბრის სათქმელის გასაგებად. მას უყვარს მამა და სწადია, ხალხს გააცნოს იგი; მას უყვარს ხალხი, და სწადია, თითოეული უფიქრდებოდეს საკუთარ თავს. მე ნიადაგი ვარ, რომელზეც ეცემა მარცვალი, რომელიც იმ ღმერთის ხელიდან გამოდის, რომელსაც ვუყვარვარ!

ივლისი

რიგითი XV კვირა [III] მწ
(30.VI) წმ. დინარ დედოფალი, X ს;
წმ. ჰენრიხი, + 1024

ორშაბათი

ეს 1,10-17; ფს 49; მთ 10,34-11,1

ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება, არ არის ჩემი ღირსი მთ 10,38

მე მოწაფეებს ვგავარ: შეშინდნენ ამ სიტყვებზე. მათსავით, მეც წავუყრუებ ხოლმე ამ სიტყვებს. იმისათვის, რომ ვიყო იესოსთან, ვუთხრა, რომ მიყვარს იგი, მის კვალში სასიარულოდ, მმართებს ჯვრის ტარება. და ამ ჯვრის არჩევა ჩემზე არაა. ვდებულობ მას იმათგან, ვინც გარს მახვევია, ჩემი ყოველდღიური დავალებებიდან, ჩემი ზღუდეებიდან. იესო, არ შეიძლება ჯვრის გარეშე გყავდე? შენ შემირჩიე ისეთი, ჩემი მწირი ძალითა და მცირე სიყვარულით რომ შევძლებ ტარებას.

14 2020

ივლისი

რიგითი XV კვირა [III] მწ

წმ. კამილო დე ლელისი +1614
კამილიელთა ორდენის დამაარსებელი

სამშაბათი

ეს 7,1-9; ფს 47; მთ 11,20-24

კამილიელ მამათა და დედათა დღესასწაული,
სნეულთა და მედმუშაკთა მფარველი

თუ თქვენ არ ირწმუნებთ, ვერ გაძლებთ ეს 7,9ბ

წინასწარმეტყველი გვაუწყებს ერთ უმნიშვნელოვანეს ჭეშმარიტებას, რომელიც ძალაშია ცალკეულ პირთათვის, ოჯახებისათვის, უბნებისათვის, მთელი საზოგადოებისათვის. იქ სადაც რწმენა კვდება, აიბარგება წესრიგი, იშლება თანხმობა, ქრება ურთიერთ ნდობა, რჩება ოდენ სულ უფრო მკვეთრი და ხშირი ცოდვა, გადაიხვეწება სიხარული, მშვიდობას საფუძველი ეცლება. მსურს მტკიცედ ვიდგე რწმენაში!

ივლისი

ოთხშაბათი

ეს 10,5-7.13-16; ფს 93; მთ 11,25-27

ყოველივე ჩემი მამის მიერ გადმომეცა მე მთ 11,27

რისი მიცემა შეუძლია მამა ღმერთს ძისთვის? ჩვენ ჩვენი თავკერძობის გამო მაშინვე ნივთები გვახსენდება, არადა ზეციერ მამას სრულებით სხვა რამა აქვს თავის ძისათვის 'მისაცემი': მთელი თავისი სიყვარული; სიყვარულის უნარი; ადმიანთა და საგანთა მისეული სიყვარულით აღძრული ხედვა; მიტევება, ადამიანებს რომ აძლევს მონანიებისა და მასთან დაბრუნების შესაძლებლობას. და ძეც ჩვენ გვინაწილებს ამ სიმდიდრეს!

16 2020

ივლისი

რიგითი XV კვირა [III] მწ

(3.VII) წმ. ღირსი გიორგი ღმერთშემოსილი, დაყუდებული, +1068; / კარმელის მთის ნ. ქალწული მარიამი

ხუთშაბათი

ეს 26,7-9.12.16-19; ფს 101; მთ 11,28-30

ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე გულით მშვიდი და მდაბალი ვარ მთ 11,29

ვისწავლი კი ოდესმე შენგან, უფალო ჩემო? შენ ძალგიძს მარტო ყოფნა, ჩრდილში დარჩენა, მამის სიყვარულით ხარ მდიდარი და არც დასაყრდენს ეძებ ადამიანებში და არც ნუგეშს. ამის გამო შენს სახეზე სიმშვიდე და თავმდაბლობაა აღბეჭდილი. შენგან ვისწავლი მარტო დარჩენას, მდუმარებას, ხმის ამოღებას მხოლოდ მაშინ, როცა მკითხავენ, იმის სათქმელად, რაც შენ მოგწონს და შენი გულის მშვიდობის მისანიჭებლად.

17 2020

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

რიგითი XV კვირა [III] მწ

პარასკევი

ეს 38,1-6.21-22.7-8; ფს: ეს 38,10.11.12.16; მთ 12,1-8

უფალო! გაიხსენე, რომ დავდიოდი შენს წინაშე ჭეშმარიტებით ეს 38,3

ესაია წინასწარმეტყველმა აუწყა მძიმედ ავადმყოფ ეზეკია მეფეს მოახლოებული სიკვდილი. ტირილით მიმართავს მეფე უფალს: „გაიხსენე, რომ ერთგულებით ვიარებოდი შენს წინაშე". დამყოლობა, რომლითაც ცხოვრობდა ეზეკია, მის ლოცვას 'წონას' მატებს ღვთის გულში, რომელიც ვერ უგულებელყოფს მის თხოვნას. აჩუქებს კიდევ სიცოცხლის თხუთმეტ წელს!

შაბათი

მიქ 2,1-5; ფს 9ბ; მთ 12,14-21

დიდძალი ხალხი მისდევდა მას
და ყველა განკურნა მთ 12,15

ფარისეველთა ჯგუფმა უკვე გადაწყვიტა იესოს თავიდან მოშორება. მიუხედავად ამისა ხალხი კვლავაც მრავლად მიჰყვება მას. ის იქცა იმედად ყველა ტანჯულისათვის, რომლებიც არ ღებულობენ მეთაურებისაგან არც ყურადღებას და მით უმეტეს, არც შვებას. იესოს სურს, რომ მდუმარედ მისდიონ მას. არ სურს ხელმოწერების შეგროვება და ხმის ამაღლება: მისი ქომაგი მისივე მომავლინებელი ღმერთია.

სიბრძ 12,13.16-19; ფს 85; რომ 8,26-27; მთ 13,24-43

ბატონო, განა შენ კარგი თესლი არ დათესე შენს ყანაში? მთ 13,27

მსახურთა სევდანარევი გაკვირვება. რა თქმა უნდა, ბატონმა მხოლოდ კარგი თესლი დათესა. მშობლებმა რწმენის ნიმუში და სიტყვები მიაწოდეს შვილებს. წინამძღვრებმა ღვთის სიტყვა აუწყეს მორწმუნეთა გულებს. საიდანაა, რომ ყველა მხრიდან ურჩობის, კერპთმსახურებისა და 'ენერგიებით' გაყღენთილი ფანტაზიების მოწამლული მოძღვრება ისმის სულიწმიდის ნაცვლად? მტერს არ ძინავს. სიფხიზლე გვმართებს!

20 ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV] მწ

წმ. აპოლინარიუსი, ეპ. და წამ., IIს

2020 ორშაბათი

მიქ 6,1-4.6-8; ფს 49; მთ 12,38-42

გეუწყა შენ რა არის სიკეთე და რას ითხოვს შენგან უფალი მიქ 6,8

და განაგრძობს: „აკეთო სიმართლე, გიყვარდეს სიკეთე, თავმდაბლად იარო შენს ღმერთთან“. ესაა ცხოვრების გზა, რომელიც სიდიადეს გვანიჭებს. ეს კი გვასწავლეს, მაგრამ სამწუხაროდ უნდა შევნიშნო, რომ გაკვეთილი ჯერაც არ ამითვისებია. იმედით ვითხოვ დაწყების მადლს!

21 2020

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

რიგითი XVI კვირა [IV] მწ

წმ. ლავრენტი ბრინდიზელი, ხუც.და მოძ. +1619

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ

მიქ 7,14-15.18-20; ფს 84; მთ 12,46-50

კამილიელი მ. პავლე შჩეპანეკის გახსენება (+1999)

კვლავ შეგვიბრალებს ჩვენ, დათრგუნავს ჩვენს უკეთურებებს

მი 7,19

წინასწარმეტყველის გამოცხადება წარმოგვიდგენს გულმოწყალებით მდიდარი ღვთის სახეს. ერმა განიცადა თავისი ორგულობის მძიმე შედეგები, შემდეგ კი უფალი ცდილობს კვლავ მის მიზიდვას, სიყვარულის ნიშნებითა და ბედნიერების დანაპირებით.

22 ივლისი

წმ. მარიამ მაგდალელი, დ, [ს], თ

2020 ოთხშაბათი

ქებ 3,1-4 ან, 2კორ 5,14-17; ფს 62; იო 20,1-2.11-18

დ. ნოელ ლოკატელის გახსენება (+2019)

ის, ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა 2კორ 5,17

წმიდა მარიამ მაგდალელს არაერთხელ განუცდია სიცოცხლის სიახლე. მისგან შვიდი ავი სული განდევნა უფალმა სიყვარულის ქმედებით და ხელახლა შვა ის. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერი იყო აღმდგარ იესოსთან შეხვედრასთან შედარებით, მას სახელით რომ მოუხმობდა. ეს სიახლე მეც მომეცა. წუთისოფლის ცხოვრება ვეღარ მხიბლავს: იესოსთან ცხოვრება ხომ გაცილებით უფრო მშვენიერია!

23 2020

ივლისი

წმ. ბრიგიდა, +1373 მონაზონი
ევროპის მფარველი დ, [ს], თ

ხუთშაბათი

გალ 2,19-20; ფს 33; იო 15,1-8

მე ვაზი ვარ, თქვენ კი ლერწები იო 15,5

წმიდა ბრიგიდამ თავისი რწმენის ძალით გადასერა მთელი ევროპა. შვედეთიდან ჩავიდა რომში. ამავე დროს ყველანაირი მდგომარეობა გამოსცადა: იყო ცოლი და დედა, ქვრივი და მონაზონი, მომლოცველი და მოძღვარი. დღეს კი ლოცულობს ჩვენი კონტინენტის გზააბნეულ მკვიდრთათვის, გზააბნეულნი კი იმიტომ არიან, რომ ზედ-მეტად ბევრ ლერწს დავიწყნია ვაზი!

24

2020

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

რიგითი XVI კვირა [IV] მწ

წმ. სარბელიუს მახლუფი, ხუცესი, +1898

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

იერ 3,14-17; ფს: იერ 31,10-13; მთ 13,18-23

კამილიელი მ. ნინო (ჯანჯიროლამო) მარტინის გახსენება (+2017)

მოგცემთ თქვენ მწყემსებს ჩემი გულისამებრ

იერ 3,15

იერემია თავის ხმას უთმობს უფალს, რომელიც ჰპირდება უდიდეს ძღვენს. სამწყსოსათვის ისეთი მწყემსი, რომელმაც იცის სადაა საძოვრები და შეუძლია ნადირისა და ქურდებისგან მისი დაცვა, სიცოცხლისა და ბედნიერების გარანტიაა. ამგვარად ღმერთი პირდება ერს, რომ აღარასოდეს მიატოვებს მას საკუთარი თავის ამარა. მოუვლენს ბრძენ და საიმედო მეგზურებს. დღეს ვხედავთ, როგორ აღასრულებს იესო ამ სიყვარულს, იმ მარცვალზე საუბრით, ჩვენს ნიადაგში რომ ვარდება.

25 2020

ივლისი

წმ. იაკობ მოციქული, დ, [ს], წ;

(12.VII) ღირსნი იოანე და გაბრიელ ათონელნი, X ს.

შაბათი

2კორ 4,7-15; ფს 125; მთ 20,20-28

მწამდა და ამიტომ ვლაპარაკობდი 2კორ 4,13

მადლობა, უფალო იესო, რომ მოუხმე და წარგზავნე მოციქულნი მთელ მსოფლიოში და ყოველ ეპოქაში. ამგვარად შენმა სიტყვამ ჩემამდეც მოაღწია, ჩემს ყურამდე და გულამდე. შენი სიტყვა იქცა მათ სიტყვად, სიტყვად, რომელიც მათი შენდამი რწმენიდან იბადებოდა. მან დაბადა რწმენა ჩემშიც, რწმენა, რომელიც მალაპარაკებს და მათქმევინებს, რომ შენა ხარ უფალი და მაცხოვარი, სიხარული და მშვიდობა!

ᲛᲔᲤ 3,5.7-12; ფს 118; რომ 8,28-30; მთ 13,44-52

სოფლის აღსასრულის დროს გამოვლენ ანგელოზები და განაცალკევებენ ბოროტებს მართლებისაგან მთ 13,49

ანგელოზები განაცალკევებენ ბოროტებს კეთილებისგან. ეს ჩემი საქმე არა ყოფილა. მე მხოლოდ მუდამ შენი სიყვარული უნდა ვატარო გულით, უფალო, და ამგვარად ბოროტნიც შეძლებენ შენი გულმოწყალების, შენი სახიერების, შენი მამობის ნიშნების მიღებას! ანგელოზები მე კი არ მკითხავენ, როგორ მოიქცნენ, არამედ შენი სიბრძნით იხელმძღვანელებენ!

ორშაბათი

იერ 13,1-11; ფს: რფლ 32,18-21; მთ 13,31-35

იგავებით გავხსნი ჩემს პირს მთ 13,35

იესოს იგავები მარტივი და მშვენიერია: ყველა ხალისით ისმენს მათ. თითოეული მათგანი მოძღვრების საბადოა, ბიძგი სააზროვნოდ. გვაცნობენ, თუ ვინაა იესო, რამდენად მნიშვნელოვანია იგი ჩვენთვის. დღეს ვისმენთ მდოგვის მარცვალზე და საფუარზე, რომლებიც უნდა დაიმალოს, პირველი ნაყოფის გამოსაღებად, მეორე კი ცომის გასაფუებლად. იესო დამალულია ჩემს გულში და არც მე მოვყვები ხალხში კოპწიაობას. ნაყოფი იქნება.

ივლისი

რიგითი XVII კვირა [I]

(15.VII) წმმ. ივლიტა და კვირიკე, წამ. (+~305)

სამშაბათი

იერ 14,17-22; ფს 78; მთ 13,36-43

ნუ დაარღვევ
შენს აღთქმას ჩვენთან იერ 14,21

იერემია ლოცულობს, რათა ღმერთმა
არ მიაქციოს ყურადღება ერის ურჩობას.
მათ ცოდვები შეიძლება მიეტევოთ. სხვა
ვის უნდა მიმართო ამისათვის? სხვა
ღმერთი არ არსებობს: კერპები ვერასოდეს
მოიყვანს წვიმას. ჩვენ ურჩნი ვართ, ღმერთს
კი კვლავაც ვუყვარვართ; ამის გამო
მეტად დავაფასებთ მას და შევეცდებით
ვუერთგულოთ კიდეც.

1იო 4,7-16; ფს 33; იო 11,19-27 ან, ლკ 10,38-42

მართა, მართა! შენ ბევრ რამეზე ზრუნავ და წუხხარ ლკ 10,41

იესო ხედავს მართას სიყვარულს, თუმცა ამჩნევს იმასაც, რომ ეს სიყვარული მასში მოუსვენრობის მიზეზი ხდება, მშვიდობას ართმევს და კრიტიკისა და მბრძანებლობისაკენ უბიძგებს. შეიძლება ამას უწოდო სიყვარული? სიყვარულს სჭირდება პირველი ნაბიჯი: ყურის დაგდება. ჯერ იესოს მოვუსმენ, რათა გავიგო, რა გაუხარდება მას ჩემგან.

ივლისი

რიგითი XVII კვირა [I] მწ

წმ. პეტრე ქრიზოლოგი, ეპ. და მოძღ., +450

ხუთშაბათი

იერ 18,1-6; ფს 145; მთ 13,47-53

როგორც თიხაა მექოთნის ხელში, ისე ხართ თქვენ ჩემს ხელში იერ 18,6

იერემია ჩადის მეთუნის სახელოსნოში. ყურადღებით აკვირდება. თუკი რომელიმე ქოთანი არ გამოუვა, ოსტატი ხელახლა მოზილავს თიხას და თავიდან იწყებს. წინასწარმეტყველი ხვდება: ასე გვექცევა ღმერთი ჩვენ, მთელ ერს. თუკი თავისი მიზნის მისაღწევად არ ვარგა რამე, ღმერთი თავიდან იწყებს. დასაბამს მისცემს ახალ ერს, რომელიც მის სიყვარულს მიაწვდის დედამიწის ყოველ ხალხს!

31

2020

ივლისი

რიგითი XVII კვირა [I]

წმ. ეგნატე ლოიოლა, ხუც., +1556, (მ), თ

პარასკევი

იერ 26,1-9; ფს 68; მთ 13,54-58

წინასწარმეტყველი არსად არ არის უპატიოდ, გარდა თავისი სამშობლოსი მთ 13,57

წინასწარმეტყველს, ვინც ღმერთზე და მის ნებაზე საუბრობს, მისი ნაცნობები არ ათხოვებენ ყურს. „ვინ ხარ შენ, ჭკუას რომ გვასწავლი?“, ეუბნებიან. ყურადღება მმართებს, რომ უარი არ ვთქვა ღვთის სიტყვაზე, როდესაც ჩემი ნაცნობების პირიდან ჟღერს. მამას შეუძლია მათი საშუალებით დამელაპარაკოს, მაშინაც, როცა მე არ მოველი ამას.